პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 1 (312)

1967 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 1 (312) იანვარი 1967 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. დ. დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ჩიაევის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ჭირაქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. უ. ფ. ცქვიტინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. დავითაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. გ. პატარაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი განყოფილება

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 225 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება გადის 1967 წლის 17 მარტს, ხოლო საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეათე მოწვევის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილება — 1967 წლის 21 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1967 წლის 19 მარტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 13 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 226 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი, 1967 წლის 14 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 227 ამხ. ფ. დ. დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ფატუშა დავითის ასული დუმბაძე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 14 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 228 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 36-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კიკნაძე** შალვა დავითის ძე — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **თედორაძე** ბესარიონ პეტრეს ძე — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — **გოგიჩაიშვილი** მიხეილ ალექსანდრეს ძე — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:**

**ლოლაშვილი** ოთარ ილიას ძე — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

**ჩერქეზია** ოთარ ევტიხის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

**გერგია** ვენერა ტარასის ასული — ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ნემსიწვერიძე** ლამარა სერგოს ასული — მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარგიანი** რევაზ აკაკის ძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან;

**მიმინოშვილი** მერი კონსტანტინეს ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ალიევი** ალი ბაირამის ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

**კოკოევა** ზარეტა ნიკოლოზის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცხინვალის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

**მესიანი** ნოდარ გურგენის ძე — ქარხანა „თბილხელსაწყოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ზაიკინი** ივანე ვლადიმერის ძე — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

**სურმანიძე** ნათელა ბექანის ასული — ბათუმის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ფიროსმანიშვილი** ნანი მოსეს ასული — რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 20 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 229 ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. სიმონ სევერიანეს ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 30 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 230 ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. სიმონ სევერიანეს ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 30 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 231 ამხ. ი. ს. ჩიაევის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. იოსებ სიმონის ძე **ჩიაევი** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 30 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 232 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 233 ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. რობერტ გიორგის ძე **ლეიაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1967 წლის 30 იანვარი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 234 ამხ. ა. ვ. ჩირაქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. არჩილ ვარლამის ძე ჩირაქაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1967 წლის 4 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 235 ამხ. უ. ფ. ცქვიტინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. უჩა ფოკას ძე **ცქვიტინიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 236 ამხ. ლ. მ. დავითაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლევან მიხეილის ძე **დავითაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 9 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 237 ამხ. პ. გ. პატარაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე გიორგის ძე **პატარაია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 18 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 238 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჟურნალ „პიონერის“ დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. რუსუდან ზაქარიას ასული **გურგენაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობი საამქროს დამკაბადონებელი.

2. ზურაბ გაბრიელის ძე **ლეჩკაშელი** — ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სიმონ ძაბუს ძე **შამფრიანი**—ჟურნალ „პიონერის“ უფროსი ლიტერატურული მუშაკი.

4. ბაბულია აკაკის ასული **შელია** —ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 18 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 239 პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლეონარდ ლეონარდის ძე **დეკაპრელევიჩი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1967 წლის 26 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება ქალაქებში თბილისსა და რუსთავში საბინაო კომუნალური ფონდის მოვლა-პატრონობის მდგომარეობის და წულუკიძისა და მცხეთის რაიონების ცენტრების კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ი. მღებრიშვილმა, ვ. გოცირიძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ჟვანიამ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩომახიძემ, საბინაო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ე. ბელელიძემ, ლენინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის რაიონების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ამხანაგებმა ვ. ჯანჯღავამ, კ. მეგრელიშვილმა, ა. კორშიამ და სხვებმა.

კომისიამ მასალები და ღონისძიებანი განსახილველად გაუგზავნა თბილისის და რუსთავის საქალაქო, მცხეთის და წულუკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.